

მოსახლეობაში ცნობიერების დონის განსაზღვრა ტყვიით ინტოქსიკაციის  
გამომწვევი მიზეზების შესახებ მცირეწლოვან ბავშვებში

მაგისტრი  
მარიამ კობრიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის  
ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

პროექტის ხელმძღვანელი: ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ კობხრიძე, 2023წ

## აბსტრაქტი

ტყვია წარმოადგენს მძიმე მეტალს, რომლის ორგანიზმში მოხვედრაც იწვევს მსუბუქიდან მძიმე ინტოქსიკაციებს. მსოფლიოში ტყვიის რაოდენობის გაზრდა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინდუსტრიალიზაციაზე, ეს მეტალი გვხვდება როგორც ბუნებაში ასევე საყოფაცხოვრებო ნივთებში. მისმა აქტიურმა გამოყენებამ გამოიწვია გარემოს ფართო დაბინძურება. ტყვიის გამოყოფა და მოსახლეობის ინტოქსიკაცია არის საკმაოდ დიდი პრობლემა, რომელსაც ძალიან მცირე ყურადღება ექცევა. მეტალი მოქმედებს ნებისმიერი ასაკის ადამიანზე, თუმცა ყველაზე მოწყვლად ჯგუფს მცირეწლოვანი მოსახლეობა წარმოადგენს. მეტალის მოქმედება იწვევს ღრმა და შეუქცევად ნეგატიურ ცვლილებებს, რაც პირველ რიგში აისახება ტვინისა და ნერვული სისტემის განვითარებაზე. ტყვია ასევე იწვევს ხანგრძლივ ეფექტებს მოზრდილებსა და ორსულ ქალებში. ამ მეტალის გავრცელება საქართველოშიც ერთ-ერთ საყურადღებო საკითხადაა მიჩნეული. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება იმას, რომ რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით გავიგოთ, თუ როგორია ინფორმატიულობის დონე მოსახლეობაში ტყვიით ინტოქსიკაციის გამომწვევი მიზეზების შესახებ მცირეწლოვან ბავშვებში. რამდენადაც პრობლემა გლობალურია, პირველ რიგში, პრევენციული ღონისძიებების გატარებაა საჭირო, რაც იწყება მოსახლეობაში ინფორმირებულობის დონის განსაზღვრით და ცნობიერების ამაღლებით. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობას არ ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია ტყვიით გამოწვეული ინტოქსიკაციების შესახებ, შესაბამისად გამოიკვეთა საჭიროება, რომ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთოს ქვეყანა და გაატაროს ღონისძიებები მის აღმოსაფხვრელად. მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ტყვიის ზეგავლენის სრულად თავიდან არიდება შეუძლებელია მისი მრავალ პროდუქტში არსებობის გამო, ტყვიის ორგანიზმზე ზემოქმედების შემცირება და პრევენცია შესაძლებელია იმ

შემთხვევაში, თუ მოსახლეობას ექნება მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად შეიძლება შეგვხვდეს ის, როგორ ხდება მისი ექსპოზიცია და თუ რა შედეგებს იწვევს მისი მოქმედება ორგანიზმზე. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე საშუალება გვეძლევა ვიმსჯელოთ და მიმოვიხილოთ საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც პრობლემის საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული.

Lead is a heavy metal, the penetration of which into the body causes from mild to severe intoxications. Increasing the amount of lead in the world depends significantly on industrialization. this metal is found both in nature and in household items. its active use has caused widespread environmental pollution. Lead release and public intoxication is a huge problem that receives very little attention. Metal affects people of any age, but the most vulnerable group is the young population. Metal action affects health and causes deep and irreversible negative changes, which primarily affect the development of the brain and nervous system. Lead also causes long-term effects in adults and pregnant women. Distribution of this metal in Georgia is considered one of the important issues. The presented master's thesis is dedicated to understanding the level of awareness among the population about the causes of lead poisoning in young children through quantitative research, because in the case of global problems, first of all, preventive measures need to be taken, which starts with determining the level of awareness among the population and raising awareness. The research conducted within the framework of the master's thesis revealed that the majority of the participants in the research did not have enough information about lead poisoning, Accordingly, the need for the country to engage in the fight against the problem and implement measures to eliminate it was highlighted. In many cases, it is impossible to completely avoid the impact of lead due to its presence in many products, however, it is possible to reduce and prevent the impact if the population has more information about where it can be found, how it is exposed and what consequences its action causes on the body. Based on the results of the research, we will be able to discuss and review the best practices that will be directed against the problem.